ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №65
2017 წლის 26 დეკემბერი

ქ. ხობი

„ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 16 ნოემბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 16 ნოემბრის №55 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 20.11.2017 წ, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.106.016263) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.დ) მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 53,4 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებების შესაბამისად.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2017 წლის 16 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ხობის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ედიშერ ჯობავა**